№201109455 23 სექტემბერი 2011

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

ბატონ დავით ტყეშელაშვილს

ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი:
ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოწინააღმდეგე მხარე: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირი

ადმინისტრაციული საჩივარი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ

მოთხოვნა :

1. **ბათილად იქნეს ცნობილი** საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გამოცემული 2011 წლის 05 სექტემბრის აქტი;

2. **განხორციელებულ იქნეს ქმედება** საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით;

3. **ანაზღაურებულ იქნეს** ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინტიტუტისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანი **1 (ერთი) ლარის** ოდენობით.

2011 წლის 24 აგვისტოს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას გაეგზავნა წერილი №20110836 (იხ. დანართი №1, 1 ფურცლად), რომლითაც კანონმდებლობით (საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, შემდგომში - სზაკ) შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში, მოთხოვნილ იქნა საჯარო ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №130 ბრძანებულების ასლი;

2. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №271 ბრძანებულების ასლი;

3. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №222 ბრძანებულების ასლი;

4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №30 ბრძანებულების ასლი;

5. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №171 ბრძანებულების ასლი;

6. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №150 ბრძანებულების ასლი;

7. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №33 ბრძანებულების ასლი;

8. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №55 ბრძანებულების ასლი;

9. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №199 ბრძანებულების ასლი;

10. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №88 ბრძანებულების ასლი;

11. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №121 ბრძანებულების ასლი;

12. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №117 ბრძანებულების ასლი;

13. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №202 ბრძანებულების ასლი;

14. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №175 ბრძანებულების ასლი;

15. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №10 ბრძანებულების ასლი;

16. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №145 ბრძანებულების ასლი;

17. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2011 წელს გამოცემული №157 ბრძანებულების ასლი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მოთხოვნილ კითხვებზე არ გასცა სრულყოფილი პასუხი საჯარო ინფორმაციაზე და ის **ვალდებულება,** რაც მას დაკისრებული ჰქონდა **საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,** არ იქნა შესრულებული. სზაკ-ის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანამხად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, პასუხი, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გასცეს დაუყოვნებლივ, ან 10 დღიან ვადაში (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში), რაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ არ იქნა განხორციელებული და პასუხში მიუთითა მხოლოდ ის თემა, რასაც ეხებოდა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი შეკითხვები (იხ. დანართი №2, 1 ფურცლად).

მოვითხოვთ: **ბათილად იქნეს ცნობილი,** საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2011 წლის 05 სექტემბერს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, **სზაკ-ის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის** საფუძველზე, ვინაიდან:

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლება ადამინის ერთ-ერთ ძირითად უფლებად არის აღიარებული და მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტში. კერძოდ: ***„ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.“*** ამ უფლების მთავარი არსი - ინფორმაციის თავისუფლად მიღების გარანტიაა. თავის მხრივ, ინფორმაციის თავისუფლად მიღების გარანტიაში იგულისხმება ყველა სახის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლო საჯარო ინფორმაციას.

საზოგადოებისთვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლში. კერძოდ, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს გააჩნიათ უფლებამოსილება, მოითხოვონ ყველა სახის საჯარო ინფორმაცია, რომელიც მის სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობას ეხება. აღნიშნული ნორმა **ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტს განამტკიცებს.**

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების მთავარი პრინციპი, სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის დაინტერესებული სუბიექტების მიერ გაცნობის შესაძლებლობას წარნმოადგენს. აღნიშნული, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების დაცვის წინაპირობაა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლში. ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: *„საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“.* აღნიშნულზე დაყრდნობით მოთხოვნილი ინფორმაცია არის ადმინისტრაციულ ორგანოთა დავალდებულება, გასცენ საჯარო ინფორმაცია.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო დაწესებულება მმართველობით დაფინანსებას იღებს საქართველოს მოქალაქეებისგან (გადასახადების საშუალებით). თავის მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების უპირველესი წყაროა — მოსახლეობა. შესაბამისად, თუ საქართველოს კონსტიტუციით ქვეყანაში არსებული სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა — **დემოკრატიული რესპუბლიკაა** (საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მეორე პუნქტი), საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობა, ეფექტიანი დემოკრატიის შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ქვეყანაში არსებული ხელისუფლების შემქმნელია ხალხი, ანუ ხალხი წარმოადგენს არჩევნების გზით ხელისუფლების ფორმირების სამართლებრივ წყაროს. აქედან გამომდინარე, სწორედ ხალხის წინაშეა ანგარიშვალდებული ხელისუფლება, რაც მათ სრულყოფილად ინფორმირებას გულისხმობს, სახელმწიფო ორგანოში არსებული ინფორმაციის შესახებ.

მნიშვნელოვანია განსაზღვრულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც: *„ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“*

იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ წერილი არ წარმოადგენს სახელმწიფო უშიშროების, ან საზოგადოებრივი აუცილებლობის უსაფრთხოების აუცილებლობის შემცველ ინფორმაციაზე პასუხის მიღების მოთხოვნას, **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ვალდებული იყო პასუხი გაეცა** მასზე სრულყოფილად. უკიდურეს შემთხვევაში, თუ იგი პასუხს საიდუმლოებად მიიჩნევდა, აღნიშნული აუცილებლად უნდა ეცნობებინა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად:

ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, **საქართველოს კონსტიტუციით** გაწერილ **ნორმათა დაკონკრეტება** ხდება **სზაკ**-ის საშუალებით, რომლის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტში, ტერმინ „საჯარო ინფორმაციის“ დეფინიციაა მოყვანილი; კერძოდ, საჯარო ინფორმაციაა: *„ოფიციალური დოკუმენტი ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულებების ან მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“.* სწორედ მოყვანილი დეფინიციის ფარგლებში მოქმედებს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, როდესაც იგი ითხოვს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან საჯარო ინფორმაციის მიღებას.

სზაკ-ის მესამე თავი მთლიანად ეთმობა ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივ ბუნებას და მისი მოწერიგების სფეროს. ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნის სუბიექტებს წარმოადგენს ერთი მხრივ ამავე კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე **„ყველა“,** რაშიც თავის მხრივ ფიზიკური ან/და იურიდიული პირი იგულისხმება, ხოლო მეორე მხრივ - საჯარო დაწესებულება.

საჯარო ინფორმაციის მიღება საჯარო დაწესებულებიდან შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ ინფორმაცია არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს. **საიდუმლო ინფორმაცია არის ინფორმაციის სახე, რომელიც კანონით დადგენილი შემთხევევის გათვალისწინებით**

არ წარმოადგენს ღია ინფორმაციას. უფრო კონკრეტულად, საჯარო ინფორმაცია საიდუმლო შეიძლება მიჩნეულ იქნეს, თუ კანონი ინფორმაციის გამხელისგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს ადგენს, შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს და აწესებს მისი გამხელისგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას. შესაბამისად, სზაკ-ზე დაყრდნობით შესაძლებელია იმ ხუთი ტიპის გამოყოფა, რომელიც საიდუმლო ინფორმაციად შეიძლება იქნეს მიჩნეული:

1) **სახელმიწფო საიდუმლოება** (არეგულირებს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონი);
2) **პირადი საიდუმლოება** (სზაკ-ის 27[1] მუხლი);
3) **კომერციული საიდუმლოება** (სზაკ-ის 27-ე მუხლი);
4) **პროფესიული საიდუმლოება** (27[3] მუხლი);
5) **აღმასრულებელი პრივილეგიით** დაცული მონაცემები (სზაკ 29-ე მუხლი).

დასახელებული ხუთივე პუნქტიდან, არცერთის შემცველი ინფორმაცია არ იქნა გამოთხოვილი ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საჯარო დაწესებულებიდან. კერძოდ, ჩამოყალიბებულ იქნა რამდენიმე კონკრეტული კითხვა, რომლითაც, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ინფრომაცია მოეთხოვა.

საჯარო დაწესებულებამ კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ გასცა ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეზე (ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენზე), ხოლო შემდგომ არასრულყოფილად მიაწოდა საჯარო ინფორმაცია მას. შესაბამისად, მათი **ქმედება წარმოადგენს კანონმდებლობის ნორმათა დარღვევას.**

საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა IDFI-ის მიერ არჩეულ იქნა, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების ასლი. აღნიშნულის შესაბამისად შეგვიძლია განვარტოთ, რომ ინსტიტუტმა მოითხოვა საჯარო ინფორმაციის მიღება მატერიალური სახით.

კითხვაში ჩამოყალიბებული იყო კონკრეტული ბრძანებულებების შესახებ მოთხოვნა, რომელიც სზაკ-ის მე-40 მუხლის საფუძველზე უნდა მიეღო საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმას უშუალოდ მისი მომთხოვნი ირჩევს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ვალდებული იყო მიეწოდებინა შესაბამისი ბრძანებულებების ასლები.

საჯარო დაწესებულებამ მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა და ნაცვლად IDFI-ის მიერ არჩეული ფორმისა, დაასახელა მხოლოდ ბრძანებულებების შინაარსი, თუ რა საკითხს ეხებოდა იგი.

აღნიშნული დარღვევის შედეგია, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს მიადგა არაქონებრივი ზიანი. კერძოდ, სზაკ-ის 47-ე მუხლი პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს იმგვარ შემთხვევას, როდესაც პირს ზიანი მიადგება, საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისას. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ საჯარო დაწესებულება დაარღვევს სზაკ-ის მესამე თავით გათვალისწინებულ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს. ის ფაქტი, რომ საჯარო ინფორმაციის მომზადებისა და გაცემის პროცედურა **<u>დაარღვია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ,</u>** ჩანს მის მიერ ქმედებაში. კერძოდ, მან ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს არ მიაწოდა საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით (იხ. დანართი №2, 1 ფურცლად).

საჯარო ინფორმაციის ა(ა)იპ - ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტისთვის მიწოდებისგან თავის არიდებით, ინსტიტუტს მიადგა არაქონებრივი ზიანი, რომელიც გამოიხატება შემდეგში: **ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს,** რომელთა უფლებამოსილების საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის, პირველი კარის, მეორე თავის მეორე ქვეთავშია მოწესრიგებული (იხ. სკ-ის მუხლები 27-29). ამასთან, ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის საქმიანობას და მისი საქმიანობიდან მიღებული მოგება მას და მის თანამშრომლებს უნდა მოხმარდეს. შესაბამისად, ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. იგი არის საქართველოს საზოგადოების ნაწილი და მასზე საჯარო ინფორმაციის არგაცემა ქართული საზოგადოების შეურაწყოფას წარმოადგენს.

მისი არსებობისთვის, მნიშვნელოვანია განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედებანი. იქიდან გამომდინარე, რომ **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ქმედება (რაც საჯარო ინფორმაციის არასრულყოფილად გაცემაში) კანონის გათვალისწინებული ნორმების დარღვევაა.** ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს მიადგა მორალური ზიანი, ვინაიდან **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ არ განახორციელა მასზე დაკისრებული საქმიანობა ჯეროვნად**. შესაბამისად, <u>შეილახა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია</u>.

რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობას, ინსტიტუტი ითხოვს **1 (ერთი) ლარის** ანაზღაურებას, ვინაიდან, ითვალისწინებს რა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ სურს საქართველოს ბიუჯეტი შეამციროს მეტი თანხით. ამით თავისთავად დასტურდება ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის საქმიანობა სამეწარმეო კუთხით არ არის მიმართული.

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მორალური უფლებების დარღვევა გამოიხატა შემდეგში:

1. **ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის <u>საქმიანი რეპუტაცია</u> შელახულ იქნა,** რადგან ეჭვქვეშ დადგა მისი პროფრსიული და სხვა თვისებების შეფასება, რასაც ემყარება საზოგადოების დამოკიდებულება ინსტიტუტის მიმართ;

2. **ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის <u>ღირსება</u> შეილახა,** რადგან შეურაცხყოფილ იქნა, მისი მორალური თუ სხვა თვისებებისა და უნარის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ვალის მოხდის შეფასება. მისი ღირსება შეილახა საზოგადოების წინაშე;

3. **ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის <u>პატივი</u> შეილახა,** რადგან ეჭვქვეშ დადგა საზოგადოების მიერ მისი პროფესიონალიზმის შეფასება.

საერთო ჯამში დაირღვა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რადგან ხელი შეეშალა მას, ძირითად საქმიანობაში. მცდარი ინფრომაციის შემცველი კორესპონდეციის მოწოდება, აგრეთვე წინასწარი განზრახვის გარეშე, მაგრამ ფაქტობრივ გარემოებათა ზედაპირული შესწავლით გამოწვეული უფლებების დარღვევა არის **ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის უპატივცემულობის გამოხატულება.** ეს კი საშუალებას გვაძლევს, მოვითხოვოთ **<u>მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.</u>**

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი იყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას (სზაკ-ის 177-ე მუხლი), ასაჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ აქტს, რომლითაც უარი ეთქვა ჩვენთვის პოზიტიური ქმედების განხორციელებაზე და სზაკ-ის 178-ე მუხლის თანახმად, ასაჩივრებს მას ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში. ამასთან, დაცულია 179-ე და 180-ე მუხლებით გათვალისწინებული ვადები, ხოლო ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი პასუხობს სზაკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე, 37-ე, 41-ე და ასევე სზაკ-ის 37-ე, 38-ე, მე-40, 47-ე და 60[1] მუხლის პირველი ნაწილის მუხლების თანახმად, ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ითხოვს, რომ:

1. **ბათილად იქნეს ცნობილი** საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი საჯარო ინფორმაციის არასრულყოფილად გაცემის თაობაზე;

2. ამავე საჯარო დაწესებულების მიერ **განხორციელებულ იქნეს ქმედება, საჯარო ინფორმაციის გაცემით,** იმ კითხვებზე, რომელიც ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას გაეგზავნა 2011 წლის 24 აგვისტოს (იხ. დანართი №1, 1 ფურცლად);

3. **ანაზღაურებულ იქნეს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანი** 1 (ერთი) ლარის ოდენობით სზაკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

ადმინისტრაციულ საჩივარს თან ერთვის დანართი 2 ფურცელის ოდენობით.

<u>**დანართი №1 (1 ფურცელი):**</u> ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაგზავნილი წერილი;

<u>**დანართი №2 (1 ფურცელი):**</u> ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული არასრულყოფილი საჯარო ინფორმაცია, რომლის გაცემის თარიღად წერილშივე მითითებულია 2011 წლის 05 სექტემბერი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

ააიპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

დირექტორი